საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/1666-17

„ 01 „ 06 2017 წ.

შპს „ანრი 109“-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 15 ივნისს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება შპს „ანრი 109”-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების დარღვევის, კერძოდ, რეგულირების საფასურის გაანგარიშებების კომისიაში წარმოდგენისა და რეგულირების საფასურის გადახდის ვალდებულებების დარღვევის გამო.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (შ-10/3995-17; 23.05.2017) თანდართული დოკუმენტაციით - 3 ფურცელი.

იოსებ ხარებავა

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ბ-ნ პ. ზერიას

რეაგირებისათვის

კ. ბექაური
23 .05.2017წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის, ნატალია ჯანელიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ შპს „ანრი 109"-ს (ს/კ-415087890) კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N120/18 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულებია, კერძოდ:

2. დაევალოს შპს „ანრი 109"-ს 2016 წლის ივნისიდან რეგულირების საფასურის გაანგარიშების კომისიაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად, რეგულირების საფასურის გადახდა, ასევე კომისიის წინაშე არსებული რეგულირების საფასურის დავალიანების - 349.13 ლარის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში.

ასევე გაცნობებთ, **რომ შპს „ანრი 109"-ს** კომისიაში წარმოადგინა მხოლოდ 2017 წლის თებერვალი, მარტი და აპრილის თვის (ნულოვანი) რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, წარმოსადგენი **აქვს** 2016 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2017 წლის იანვრის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშებები და შესაბამისად, გადასახდელი აქვს კომისიის წინაშე არსებული რეგულირების საფასურის დავალიანება - 349.13 ლარი.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის, გადასცეთ კომისიის აპარატის შესაბამის დეპარტამენტს/სამსახურს.

თან ერთვის:

1. კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N120/18 გადაწყვეტილების **დამრღვევის** საბუთი, იხ.დანართი **N1**, 1 **ფურცელი;**
2. კომისიის 2017 წლის 23 თებერვლის N120/18 გადაწყვეტილების **დამრღვევის** საბუთი, იხ.დანართი **N2**, 1 **ფურცელი;**
3. სამართლებრივი დეპარტამენტის სპეციალისტის ნინო ამირიძის წერილი, იხ. დანართი N3, 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე
22/05/17

10/3995 17
23 05 17
1+3

ეანსარი 4/L.

გზავნილის სახეობა:	წერილობითი კორესპონდენცია
გაგზავნის თარიღი:	**27.04.2017 16:08**
გზავნილის კოდი:	**AP01002647073**
გამგზავნი:	**"საქ. კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (204953050)**
გამგზავნის გზავნილის ნომერი:	**03/689-17**
გამგზავნის მისამართი:	წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ.**50/18,** თბილისი, საქართველო
ადრესატი:	**შპს"ანრი 109"**
ადრესატის მისამართი:	**ს. კვირიკე, ქობულეთი, საქართველო**
შემსრულებელი:	**ნინო ჯავახიძე**
სტატუსი:	**დაბრუნებულია გამგზავნთან**
კურიერის ვიზიტის თარიღი:	**28.04.2017 18:21**
კურიერი:	ფრიდონ ტაკიძე
მიზეზი:	ადრესატი ვერ მოიძებნა
მიზეზის აღწერა:	**gakitxvis shedegad adresati ver movidzie miutitet aqtiuri telefonis nomeri**

გზავნილის სახეობა:	წერილობითი კორესპონდენცია
გაგზავნის თარიღი:	**27.04.2017 16:08**
გზავნილის კოდი:	**AP01002647073**
გამგზავნი:	"საქ. კომუნიკაციების ეროვნული კომისია" **(204953050)**
გამგზავნის გზავნილის ნომერი:	**03/689-17**
გამგზავნის მისამართი:	წამებულის გამზ./ბოჯორმის ქ.**50/18**, თბილისი, საქართველო
ადრესატი:	შპს"ანრი 109"
ადრესატის მისამართი:	ს. კვირიკე, ქობულეთი, საქართველო
შემსრულებელი:	ნინო ჯავახიძე
სტატუსი:	დაბრუნებულია გამგზავნთან
კურიერის ვიზიტის თარიღი:	**01.05.2017 11:27**
კურიერი:	კახი ბერიძე
ჩაიბარა:	**maia ninua 01024018438** (ორგანიზაციის წარმომადგენელი)
კომენტარი:	**kancelariis tanamshromeli**

ხელმოწერა: